



ეკონომიკა

საბანკო სექტორი: კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხები წლიურად 15.5%-ით გაიზარდა 2025 წლის ივნისში წინა თვის 14.7%-იანი ზრდის შემდეგ და საკრედიტო პორტფელმა 66.2 მლრდ ლარი (24.3 მლრდ აშშ დოლარი) შეადგინა. ამასთან, გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, ივნისში სესხების პორტფელის წლიურმა ზრდამ 15.6% შეადგინა (+2.1% თ/თ). სექტორების მიხედვით, იურიდიული პირების დაკრედიტება კურსის ეფექტის გამორიცხვით წლიურად 16.5%-ით გაიზარდა, ხოლო საცალო დაკრედიტების წლიური ზრდა 14.7% იყო; 2025 წლის ივნისში სესხების დოლარიზაცია წინა თვესთან შედარებით მცირედით გაიზარდა და 43.1% შეადგინა (+0.21პპ თ/თ და -2.09პპ წ/წ).

2025 წლის ივნისში საბანკო სექტორში განთავსებული დეპოზიტები წლიურად 11.6%-ით გაიზარდა (კურსის ეფექტის გამორიცხვით) 60.8 მლრდ ლარამდე (22.3 მლრდ აშშ დოლარი), წინა თვეში დაფიქსირებული 11.9%-იანი წლიური ზრდის შემდეგ. ვალუტების მიხედვით, ივნისში ლარის დეპოზიტები წლიურად 9.5%-ით გაიზარდა (+9.1% წინა თვეში), ხოლო უცხოური ვალუტის დეპოზიტების წლიური ზრდა 13.7% იყო (+14.9% წინა თვეში). ამასთან, ივნისში დეპოზიტების დოლარიზაცია წინა თვესთან შედარებით -1.10პპ-ით 49.7%-მდე შემცირდა, თუმცა წლიურად ის კვლავ გაზრდილი რჩება (+0.61პპ წ/წ).

სავალუტო ინტერვენციები: 2025 წლის ივნისში ლარის განგრძობითი გამყარების ფონზე ეროვნულმა ბანკმა გააგრძელა რეზერვების დაგროვება და სავალუტო ბაზარზე 266.0 მლნ აშშ დოლარი შეიძინა. ჯამურად, 2025 წლის იანვარ-ივნისში სებ-ის სავალუტო შესყიდვებმა 879.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

საგარეო ვაჭრობა: საქსტატის წინასწარი მონაცემებით, 2025 წლის ივნისში საქონლის ექსპორტი წლიურად 10.4%-ით გაიზარდა და 640.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, წინა თვეში დაფიქსირებული წლიური 15.7%-იანი ზრდის შემდეგ. ასევე, საქონლის იმპორტი წლიურად 0.9%-ით გაიზარდა 1.4 მლრდ აშშ დოლარამდე, წინა თვის 1.8%-იანი კლების შემდეგ. შედეგად, ივნისში სავაჭრო დეფიციტი წლიურად 6.2%-ით შემცირდა 732.8 მლნ აშშ დოლარამდე.

2025 წლის ივნისში მანქანები (+24.8% წ/წ), ძვირფასი ლითონები (+33.9% წ/წ), ხილი (+32.7% წ/წ), სპირტიანი სასმელები (-11.9% წ/წ) და ტვინი (+50.1% წ/წ), იყო ტოპ-5 ექსპორტირებული საქონელი. ამასთან, ექსპორტის 10.8% ევროკავშირზე მოდიოდა (+31.3% წ/წ), 69.6% დსთ-ზე (+17.5% წ/წ) და 19.6% სხვა ქვეყნებზე (-15.2% წ/წ).

2025 წლის ივნისში ტოპ-5 იმპორტირებული საქონელი იყო მანქანები (-28.1% წ/წ), ნავთობი (-9.9% წ/წ), მედიკამენტები (+17.9% წ/წ), ტელეფონები (+40.3% წ/წ) და გამომთვლელი მანქანები (-15.3% წ/წ).

ჯამურად, 2025 წლის იანვარ-ივნისში, სავაჭრო დეფიციტი წლიურად 11.6%-ით გაიზარდა და 5.5 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რადგან ექსპორტი 13.7%-ით გაიზარდა 3.2 მლრდ აშშ დოლარამდე, ხოლო იმპორტი 12.4%-ით გაიზარდა და 8.7 მლრდ აშშ დოლარს გაუტოლდა. ამასთან, სურათების/ნახატების ერთჯერადი იმპორტის გამორიცხვით, მთლიანი იმპორტი წლიურად 6.2%-ით, ხოლო სავაჭრო დეფიციტი წლიურად 1.8%-ით გაიზარდა 2025 წლის იანვარ-ივნისში.


მწარმოებელთა ფასების ინდექსი: საქსტატის მონაცემებით, მწარმოებელთა ფასების ინდექსი წლიურად 3.0%-ით გაიზარდა 2025 წლის ივნისში, წინა თვეში არსებული 4.9%-იანი ზრდის შემდეგ. მწარმოებელთა ფასების წლიურ ზრდაზე ძირითადი ზეგავლენა იქონია ფასების ზრდამ დამამუშავებელი მრეწველობის (+1.6%), სამთომომპოვებითი მრეწველობის (+13.8%) და ელექტროენერჯის მიწოდების (+8.3%) სექციებში.

ეკონომიკური ინდიკატორები

	2024	2025F
რეალური მშპ-ს ზრდა	9.4%	7.5%
მშპ ერთ სულზე (ppp)	28,258	31,932
მშპ ერთ სულზე (აშშ \$)	9,141	9,939
მოსახლეობა (მლნ)	3.7	3.7
ინფლაცია (საშუალო)	1.1%	3.7%
საერთ. რეზერვები (მლრდ აშშ \$)	4.4	4.9
მიმდ. ანგარ. დეფიციტი (მშპ-ს %)	4.5%	5.0%
ფისკალური დეფიციტი (მშპ-ს %)	2.4%	2.5%
სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %)	36.1%	34.7%
Fitch/S&P/Moody's*	BB/BB/Ba2	

წყარო: ოფიციალური მონაცემები, სარეიტინგო სააგენტოები, გალტი & თსკარტი
*უახლესი საკრედიტო რეიტინგები

საბანკო სესხების წლიური ზრდა (კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: სებ

სებ-ის წმინდა სავალუტო ინტერვენციები, მლნ აშშ დოლარი



წყარო: სებ
შენიშვნა: +/- ნიშნავს რეზერვების შევსებას/შემცირებას



ფულადი ბაზარი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები/ობლიგაციები: საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2025 წლის 22 ივლისს 6.0-წლიანი 60 მლნ ლარის (22.1 მლნ აშშ დოლარის) ოდენობის სახაზინო ობლიგაციები გაყიდა. ამასთან, მოთხოვნა 1.8-ჯერ მაღალი იყო და საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა აუქციონთან შედარებით 0.4473პპ-ით გაიზარდა და 9.571% შეადგინა.


უახლესი აუქციონი დაგეგმილია 2025 წლის 5 აგვისტოს, სადაც 6-თვიანი 20 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები და 4.1-წლიანი 50 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ობლიგაციები გაიყიდება.

სახაზინო ფასიანი ქაღალდები, 2025 წელი

ვალიანობა	გამოშვება წლის დასაწყისიდან მლნ ლარი	დარჩენილი გამოშვება მლნ ლარი	ვალის ნაშთი მლნ ლარი*
1 წლამდე	370	200	450
1 წელზე მეტი	1,351	1,070	9,777
სულ	1,721	1,270	10,227


წყარო: ფინანსთა სამინისტრო
* 2025 წლის ივნისის მდგომარეობით

სახაზინო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მრუდი




წყარო: სებ

განხორციელებული ემისია და მოთხოვნა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ბოლო აუქციონებზე, მლნ ლარი




წყარო: სებ

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, წლიური ინფლაცია და ლარის გაცვლითი კურსი



წყარო: სებ, საქსტატი

ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები



წყარო: სებ
შენიშვნა: ინდექსის ზრდა/კლება ნიშნავს გაცვლითი კურსის გამყარებას/გაუფასურებას



ობლიგაციები

ქართული ევროობლიგაციები

გამომშვები	ვალუტა	მოცულობა, მლნ	კუპონი	გამოშვების თარიღი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody/Scope)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
GEORG 04/26	USD	500	2.750%	Apr-21	Apr-26	BB/BB/Ba2	97.68	6.10	194.20
GRAIL 06/28	USD	500	4.000%	Jun-21	Jun-28	BB-/BB-/-	92.08	7.08	347.28
GEBGG 9 1/2 PERP	USD	300	9.500%	Apr-24	n/a	B-/-/B2	100.22	9.43	585.49
SILKNET 01/27	USD	300	8.375%	Jan-22	Jan-27	BB-/-/B1	101.23	7.50	154.98
TBC 8.894 PERP	USD	75	8.894%	Nov-21	n/a	B-/-/-	98.88	9.71	585.95
TBC 10 1/4 PERP	USD	300	10.250%	Apr-24	n/a	-/-/B2	100.78	10.01	638.74
CGEOLN 07/29	USD	300	8.875%	Jul-24	Jul-29	BB-/BB-/-	104.53	7.53	354.52

გალტ & თაგარტი როგორც წამყვანი მენეჯერი და/ან მონაწილე
წყარო: Bloomberg

ქართული ადგილობრივი ობლიგაციები

გამომშვები	ვალუტა	მოცულობა, მლნ	კუპონი	გამოშვების თარიღი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody/Scope)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %
USD								
Geo. Renewable Power Oper.	USD	80	7.00%	Oct-22	Oct-27	-/-/-/-	100.00	7.00%
Silk Real Estate	USD	20	9.00%	Apr-23	Apr-26	-/-/-/-	99.99	9.00%
Georgia Capital	USD	150	8.50%	Aug-23	Aug-28	-/BB-/-/-	101.08	8.13%
Silk Real Estate	USD	20	9.25%	Sep-23	Sep-26	-/-/-/-	100.91	8.63%
Geosteel	USD	5	8.50%	Dec-23	Dec-25	-/-/-/-	99.63	8.75%
IG Development	USD	20	8.50%	Dec-23	Dec-25	-/-/-/-	99.61	8.75%
Tegeta Motors	USD	5	8.50%	Jun-24	Jun-26	-/-/-/BB-	n/a	8.63%
Tegeta Motors	USD	3.3	8.50%	Jun-24	Jun-26	-/-/-/BB-	n/a	8.63%
IG Development	USD	19.5	8.50%	Jul-24	Jul-26	-/-/-/-	n/a	8.63%
Tegeta Motors	USD	5	8.50%	Jul-24	Jul-26	-/-/-/BB-	n/a	n/a
MP Development	USD	5	8.75%	Jul-24	Jul-26	-/-/-/-	n/a	8.75%
JSC BasisBank	USD	20	7.00%	Aug-24	Aug-27	-/-/-/-	n/a	7.00%
Georgia Real Estate	USD	25	8.50%	Aug-24	Aug-26	-/-/-/-	n/a	8.50%
Chavchavadze 64B	USD	10	8.75%	Aug-24	Aug-26	-/-/-/-	n/a	8.75%
Tegeta Motors	USD	5	8.25%	Dec-24	Dec-26	-/-/-/BB-	n/a	n/a
MP Development	USD	17.7	8.50%	Apr-25	Apr-27	-/-/-/-	n/a	n/a
Tegeta Motors	USD	10.0	8.00%	Apr-25	Apr-27	-/-/-/BB-	n/a	n/a
Tegeta Motors	USD	10.0	8.00%	Apr-25	Apr-27	-/-/-/BB-	n/a	n/a
Energy Development Georgia	USD	10.0	8.50%	Jun-25	Jun-27	-/-/-/-	n/a	n/a
ALMA	USD	30.0	8.50%	Jul-25	Jul-27	-/-/-/-	n/a	n/a

გალტ & თაგარტი როგორც წამყვანი მენეჯერი და/ან მონაწილე
წყარო: Bloomberg, გალტ & თაგარტი



ობლიგაციები

ქართული ადგილობრივი ობლიგაციები


გამომშვები	ვალუტა	მოცულობა, მლნ	კუპონი	გამომშვების თარიღი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody/Scope)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %
EUR								
Tegeta Motors	EUR	4	7.00%	Dec-23	Dec-25	-/-/BB-	99.63	7.25%
Tegeta Motors	EUR	7	6.75%	Dec-23	Dec-25	-/-/BB-	100.37	6.15%
IG Development	EUR	5	7.00%	Jan-24	Jan-26	-/-/BB-	99.60	6.15%
Tegeta Motors	EUR	10	6.75%	May-24	May-26	-/-/BB-	n/a	n/a
MP Development	EUR	3	7.75%	Jul-24	Jul-26	-/-/BB-	n/a	7.75%
Silk Real Estate	EUR	7	7.00%	Aug-24	Aug-25	-/-/BB-	n/a	7.00%
Chavchavadze 64B	EUR	3	7.75%	Aug-24	Aug-26	-/-/BB-	n/a	7.75%
ALMA	EUR	8.5	7.25%	Jul-25	Jul-27	-/-/BB-	n/a	n/a
GEL								
Nikora	GEL	35	TIBR3M + 3.50%	Nov-22	Nov-25	-/-/BB-	100.00	11.58%
Tegeta Motors	GEL	150	TIBR3M + 3.50%	Dec-22	Dec-25	-/-/BB-	n/a	n/a
MFO Rico Express	GEL	130	TIBR1D + 2.00%	Mar-23	Mar-26	-/-/BB+	n/a	n/a
TBC Leasing	GEL	100	TIBR3M + 3.00%	Mar-23	Mar-26	BB/-/BB-	n/a	n/a
TBC Leasing	GEL	15	TIBR3M + 2.75%	Jun-23	Jun-26	BB/-/BB-	n/a	n/a
Tegeta Motors	GEL	20	TIBR6M + 3.50%	Jun-23	Dec-25	-/-/BB-	n/a	n/a
Tegeta Motors	GEL	20	14.5%	Dec-23	Dec-25	-/-/BB-	n/a	n/a
Cellfie	GEL	65	TIBR6M + 3.50%	Dec-23	Dec-26	-/-/BB-	100.00	12.33%
Tegeta Motors	GEL	10	13.50%	Jul-24	Jul-26	-/-/BB-	n/a	n/a
Tegeta Motors	GEL	15	13.50%	Aug-24	Aug-26	-/-/BB-	100.00	13.50%
Nikora Trade	GEL	60	TIBR3M + 3.25%	Oct-24	Oct-29	-/-/BB-	n/a	n/a
MFO MBC	GEL	30	TIBR3M + 4.25%	Dec-24	Dec-26	-/-/BB+	n/a	n/a
MFO MBC	GEL	30	TIBR3M + 4.00%	Apr-25	Apr-27	-/-/BB+	n/a	n/a

გალტ & თაგარტი როგორც წამყვანი მენეჯერი და/ან მონაწილე
წყარო: Bloomberg, გალტ & თაგარტი




ობლიგაციები

ევროობლიგაციები (შემოსავლიანობა)




წყარო: Bloomberg

ადგილობრივი კორპორატიული
ობლიგაციების ნაშთი, მლნ ლარი



წყარო: გალტი & თაგარტი

ადგილობრივი კორპორატიული საჯარო
ობლიგაციების ნაშთი მიხედვით სექტორების




წყარო: გალტი & თაგარტი



აქციები


Lion Finance Group (BGEO LN)



წყარო: Bloomberg

Lion Finance Group-ის (BGEO LN) აქციები დაიხურა 73.55 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +0.75% წინა კვირასთან შედარებით და +7.92% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 128 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 72.50 - 74.75 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 37 ათასი აქცია შეადგინა.


თიბისი ბანკის ჯგუფი (TBCG LN)



წყარო: Bloomberg

თიბისი ბანკის ჯგუფის (TBCG LN) აქციები დაიხურა 48.35 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -0.62% წინა კვირასთან შედარებით და +8.65% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 256 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 47.45 - 49.05 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 64 ათასი აქცია შეადგინა.

საქართველოს კაპიტალი (CGEO LN)



წყარო: Bloomberg

Georgia Capital-ის (CGEO LN) აქციები დაიხურა 21.15 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -0.94% წინა კვირასთან შედარებით და +13.83% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 189 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 20.75 - 21.60 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 59 ათასი აქცია შეადგინა.



აქციები

აღმოსავლეთ ევროპის ბანკები

	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზ.	6 თვე,	წ/წ ცვლ.	წლის დას.	P/E			P/B		
								2023	2024	2025F	2023	2024	2025F
Lion Finance Group	BGEO	GBP	73.55	3,268	58.9%	66.0%	56.2%	4.36x	2.92x	5.80x	1.25x	1.02x	1.54x
TBC	TBC	GBP	48.35	2,723	51.1%	66.2%	55.0%	4.68x	4.80x	6.72x	1.15x	1.12x	na
Halyk Bank	HSBK	USD	24.75	6,747	26.0%	39.7%	27.3%	2.57x	na	3.30x	0.72x	na	na
Akbank	AKBNK	TRY	68.00	353,600	2.3%	3.7%	4.9%	2.86x	7.96x	5.18x	0.9x	1.4x	1.22x
Garanti	GARAN	TRY	140.00	588,000	5.8%	12.2%	12.5%	2.84x	5.73x	5.21x	1.00x	1.58x	1.44x
Isbank	ISCTR	TRY	14.62	365,500	0.8%	-6.5%	8.0%	3.23x	7.43x	4.36x	0.87x	1.06x	0.95x
PKO	PKO	PLN	82.38	102,975	26.1%	39.2%	37.9%	11.44x	na	8.55x	1.39x	na	1.76x
PEKAO	PEO	PLN	202.60	53,176	31.3%	25.9%	46.9%	5.99x	5.68x	7.81x	1.31x	1.13x	1.57x
Millennium	MIL	PLN	15.09	18,306	48.1%	62.2%	69.6%	17.78x	15.08x	7.56x	1.47x	1.39x	2.08x
Mbank	MBK	PLN	877.00	37,270	46.6%	42.4%	60.3%	na	10.36x	8.29x	1.65x	1.31x	1.91x
BRD	BRD	RON	19.52	13,604	7.5%	-9.2%	4.7%	7.62x	8.52x	8.87x	1.42x	1.38x	1.31x
Banca Transilvania	TLV	RON	28.06	25,728	20.2%	17.5%	23.6%	6.69x	4.86x	6.41x	1.46x	na	1.76x
Komerčni	KOMB	CZK	1,025.00	194,801	14.1%	28.6%	20.8%	8.76x	9.29x	11.53x	1.09x	1.27x	1.53x
Mean								6.57x	7.51x	6.89x	1.21x	1.27x	1.55x
Median								5.34x	7.43x	6.72x	1.25x	1.29x	1.54x

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტის" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს Lion Finance Group ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მონაწილეობა Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებელია. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწვევისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვათ ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიანიჭიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უზუსტობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განხილვებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმეწინარე უკავშირებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უზუსტობა რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად არცენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქალაქის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტი და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცემული არიან ამ კვლევაში. შედეგად, ინვესტორებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვიზუალების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება პირები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვიზუალებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

გალტ & თაგარტი
მისამართი: პუშკინის ქუჩა 3, თბილისი, 0105, საქართველო
ტელ: + (995) 32 2401 111

კვლევები: research@gt.ge
ტელ: +995 32 2401 111 (4298)
საბროკერი: sales@gt.ge
ტელ: +995 32 2401 111 (4132)
საინვესტიციო-საბანკო მიმართულება: ib@gt.ge
ტელ: +995 32 2401 111 (7457)